№ 125

პარასკევი, 16 ივნისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 125

პარასკევი, 16 ივნისი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## „ივერია"

გამოვა 1895 წელსაც

**იმა ; პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის" რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

---

ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის **წლიური კრება** დანიშნულია 20 ივნისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1) 1894 წლის ანგარიში;
2) არჩევა მმართველობის წევრებისა;
3) არჩევა სარედაქციო და სარევიზიო კომისიის წევრებისა;
4) 1895 წლის ხარჯთ-აღრიცხვა;
5) მიღება ახალის წევრებისა;
6) განაწილება დივიდენდისა.

ГОДИЧНОЕ СОБРАНІЕ членовъ Кутаисскаго Издательскаго Товарищества назначено 20 іюня, въ 7 часовъ вечера, въ помѣщеніи Дворянскаго Банка.

Предметы занятій:

1) Отчетъ 1894 года;
2) Выборы членовъ правленія;
3) Выборы членовъ редакціонной и ревизіонной комиссій;
4) Смѣта за 1895 годъ;
5) Пріемъ новыхъ членовъ;
6) Распредѣленіе дивиденда.

(3—6—1)

---

## ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისესისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარ სარჩელს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(15—„)

---

## «ივერიის» რედაქციისაგან:

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

## კაბინეტი კბილის ექიმთა

**ვ. ი. ჭიჭინაძისა** და **ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—5 და საღამოს 4—7 საათამდე.

---

## ახალი ამბავი

—

*** კვირას, 18 ამ თვეს, დრამატიულ საზოგადოების კრებაზედ, ზოგიერთ წევრსა ჰსურს შეიტანოს აზრი, ეთხოვოს მარშალს თავ. კ. ი. მუხრან-ბატონს, ქართულ წარმომადგენლებისათვის რაც შეიძლება თეატრის იაფად დათმობა. მკითხველებმა იციან, რომ ბანკის ქარვასლა თეატრითურთ გადადის თავად-აზნაურობის ხელში.

უეჭველია, წარმომადგენელი ჩვენის უმაღლესის წოდებისა ჯეროვანის ყურადღებით მოეპყრობა ამ საგანს, რადგანაც ქართულის ხელოვნების წარმატება საუკეთესო ნიშანია ჩვენის ეროვნულის თვითცნობიერებისა.

*** ამა წლის თებერვლის 22-ს სასტუმრო „იმპერიალ"-ში გამართული იყო საღამო ბათუმის ქართულ სკოლის სასარგებლოდ. შემოვიდა 729 მან. 65 კაპ. ხარჯი—119 მან. 75 კაპ. იყო. სკოლისათვის დარჩა 609 მან. 90 კაპ. სკოლის მზრუნველი კომიტეტი მადლობას უძღვნის ბ. ე. ბერძენიშვილს, რომელმაც დაუთმო ამ საღამოსათვის სასტუმროს ზალას და ბევრი სხვა ხარჯიც მიიღო თავისს თავზედ.

*** გუშინ-წინ ტფილისში ჩამოვიდა მისა უმაღლესობა კონსტანტინე პეტრეს ძე პრინცი ოლდენბურგისა და ჩამოხტა სასტუმრო „ლონდონში."

*** გუშინ, 15 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზედ მთავარმართებელი გენერალ-ადიუტანტი შერემეტევი კისლოვოდსკში წავიდა.

*** კავკასიის სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის გამგე დ. ს. ს. პ. ა. გლავაცკი რუსეთის შიდა გუბერნიებში იგზავნება მთავრობისაგან შეშლილთა საცხოვრებელ ახალშენების შესასწავლად, რადგანაც განზრახვა აქვთ კავკასიაშიაც დააარსონ ასეთი ახალშენი.

*** სამიწათ-მოქმედო სამინისტროში შემდგარ კომისიას შეუმუშავებია პროექტი სამეურნეო განყოფილების გახსნისა სოფლის ორ-კლასიან სასწავლებლებთან. ამ განყოფილებაში მოსწავლეები პრაქტიკულად შეისწავლიან: მიწის შემუშავებას, საქონლის მოშენებას, ბაღოსნობას, მებოსტნეობას, ვაზის მოშენებას, მეფუტკრეობას და მეაბრეშუმეობას. ამის გარდა ისწავლიან რომელსამე ხელობას, მიხედვით ადგილობრივის საჭიროებისა. სასოფლო სამეურნეო განყოფილებას ექნება თავისი საკუთარი ადგილი შესამუშავებლად შენობები და საწარმოებელი თანხა. ამ განყოფილებას ანგარიშით ყოველ წლივ2,300—2500 მანეთი ფული მოუნდება. ჯერ-ჯერობით საცდელად რამდენსამე ამისთანა განყოფილებას დაარსებენ.

განზრახულია, სხვათა შორის, ამ გვარი განყოფილებანი დაარსებულ იქმნას ახალ ციხისა და წალკის სასოფლო სასწავლებლებთან.

*** წელს ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში სწავლობდა 60 მოწაფე, მათ შორის 14 ქართველია. სამმა იმათგანმა: ჩაჩავამ, ბეჩვაიამ და ჯულაბაშვილმა სწავლა დაამთავრა.

მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოდგან. ვაკანსია არის პირველ კლასში 27.

*** არტისტი ვლ. ალექსი-მესხიშვილი იწერება, რომ ხარკოვში ექიმობა მოხდენია და სრული იმედი აქვს მორჩეს, მაგრამ უსაშუალობის გამო შეიძლება ველარ განვაგრძო ექიმობაო.

*** ამ დღეებში გაზ. „ტფილ. ფურ." იუწყებოდა ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს უფროს ექიმის მ. კ. გოლბეკის ავადმყოფობას. გოლბეკი დღესაც იმავე მდგომარეობაშია, უკეთ-ყოფობა არ ეტყობა.

*** უკანასკნელს დღეებში ტფილისში შენიშნეს ყალბი ქაღალდის ფულის, თუმნიანის ხმარება № 354506. ხელოვნება საზღვარ-გარეთელია. სურათი ისე კარგად არის გამოყვანილი, რომ ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა მისი სიყალბის შეტყობა თუ ერთი და იგივე ნომრები არ ჰქონდეთ.

*** ბორჯომიდგან გვატყობინებენ, რომ შუშეულობის ქარხანა რვა თვეზედ ადრე არ მოთავდებაო, თუმცა გაცხარებული მუშაობა იწყებაო.

*** პატარძეულში კარგა დიდს მანძილზედ გაჩნდა კალია. ნათესებს სულ მთლად ანადგურებს. კალიის გასაწყვეტად ადგილობრივ მცხოვრები გლეხები გავიდნენ.

*** ზანგეზურის ოლქში კარგა ხანია დაუსჯელად დათარეშობს სამი შესანიშნავი ყაჩაღი. სამივენი ტომით თათრები არიან. მათ მეთაურობს ვინმე ნაბი 35 წლის ვაჟკაცი. ნაბი ჯერ ათის წლისა იყო, როდესაც დაიწყო წვრილმან ნივთებისა და ქათმების პარვა. მალე წვრილებიდგან სხვილებზედ გადავიდა და იგი შეპყრობილ იქმნა პოლიციის მიერ. სასამართლომ ნაბის კატორღა მიუსაჯა, მაგრამ გერუსოვიდგან შუშაში გაგზავნის დროს იგი დარაჯებს ხელიდგან წაუვიდათ. ამის შემდეგ ნაბიმ შეჰკრიბა თავის გარემო გაქცეული ყაჩაღები და იმდენად ხელოვნურად მოქმედებს, იმდენად შესწავლილი აქვს გზა-კვალი, ტყე-ღრე, რომ იგი ყოველთვის ახერხებს მდევართაგან თავი დაიღწიოს.

მასზედ უფრო შესანიშნავია მისი ამხანაგი ადჟი-ბაბა გიულ-მამედი. გიულ-მამედი ახოვანი ტანის უშიშარი და შეუბრალებელი ყაჩაღია. გიულ-მამედი არამც თუ გარეშეთ ექცევა მკაც-

---

## ფელეტონი

—

„Madame Sans-Gêne".

(მადამ სან-ჟენ)

ოთხ მოქმედებიანი კომედია

ვ. სარდუსი და მოროსი.

(შემდეგი *).

მომქმედნი პირნი მეორე და დანარჩენ მოქმედებებში:

ნაპოლეონ პირველი.

კატრინ, დანციგის დუკის მეუღლე.

ლეფევრი, დუკა და მარშალი საფრანგეთისა, ამისი ქმარი.

ფუშე, ოტრანის დუკი.

მარი კაროლინ, ნეაპოლიტანის დედოფალი } ნაპოლეონის დები.
ელიზ

გრაფი ნეიპერი.

სავარი, დუკი როვიგო, პოლიციის მინისტრი ამისი ცოლი.

ბარონესს ფონ-ბულოვ, მარიაღუიზასთან ნაპოლეონის ცოლთან დაახლოვებული ქალი.

გრაფინა ბასსანო, სასახლის ქალი.

ბრიგოდ, ნაპოლეონის კამერჰერი.

ლორისტან, ნაპოლეონის ადიუტანტი.

განონვილ } მორიგი მხედარნი.
მორტიმერ

ჟარდენ, ნადირობის გამგე.

ჟასმენ, ლეფევრის მსახური.

დეპერო, ცეკვის ოსტატი.

ლერუა, სასახლის მკერვალი.

კორსო, ფუშეს აგენტი.

კოპ, მეჩექმე.

კონსტან, ნაპოლეონის ხელზედ მოსამსახურე.

რუსტან, ზანგი, ნაპოლეონის ერთგული მსახური.

გოგო } ლეფევრებისა.
მსახური

სასახლის კაცნი, მსახურნი, ორი ზანგი.

II, III და IV მოქმედებები სწარმოებენ კომპიენის სასახლეში, 1811 წელს.

(სადარბაზო, დიდი, ნათელი. სიღრმეში სჩანს გრძელი დერეფანი. აქეთ-იქით ორ-ორი კარები—მარცხნით ლეფევრის კაბინეტი, მარჯვნით კატრინის საწოლი ოთახი. შუაში დიდი მაგიდა, სავარძლებით შემოწყობილი. ყოველივე მოწყობილება, მებელი, ნაპოლეონის დროისაა).

გამოსვლა 1.

ჟასმენ, მსახური და შემდეგ დეპერო.

(ჟასმენი სადღესასწაულოთ მორთულია. ათვალიერებს, ყველაფერი რიგზედ არის თუ არა. მსახური შემოდის კორიდორიდგან).

მსახური. ბატონო ჟასმენ!

ჟასმენ. რა არის?

მსახური. ბატონი დეპერო მობრძანდა! (ჟასმენ ხელს უქნევს, დეპერო შემოდის).

დეპერო. შინ ბრძანდება მისი უგანათლებულესობა დანციგის დუკის მეუღლე?

ჟასმენ. შინ ბრძანდება (მსახურს) მოახსენე! (მსახური გადის კატრინის ოთახში) მე წინად გიცნობდით თქვენ, ბატონო დეპერო, როდესაც ვერსალში ბრძანდებოდით ბალეტ-მეისტერად. კარგი დრო იყო მაშინ!

დეპერო. დიაღ, ეხლა მე ცეკვის და მიმოხვრის პროფესორი ვარ იმპერატრიცასი. აქ დუკის მეუღლის ბრძანებით მოველ.

ჟასმენ. ახლავე გამობრძანდება!

დეპერო. სრულებით ვერ გამიგია, ამ სადილობის დროს, რა ნებავს ჩემგან?

ჟასმენ. ეხლავ აგიხსნით: სასახლის უფროსი ღენერალი ოდენერ ავად არის. ყოველივე განკარგულება, დიდის დუკის ვურსბურგის მისაღებად, იმპერატორმა მარშალს ლეფევრს მიანდო. ამ საღამოზედ დანიშნულია დარბაზობა და ჩვენ დავიქანცეთ, იმდენი საქმე აგვიჩნდა.. ყველაფერი უნდა მოვაწყოთ...

დეპერო. ახლა მესმის, უთუოდ მისს უგანათლებულესობას ნებავს დამეკითხოს ბალის შესახებ.

ჟასმენ. არა, ბალი არ იქნება, მხოლოდ დარბაზობა. ეს კიდეც სჯობია. ჩვენ შორის იყოს და რაც შეეხება ცეკვას, დუკის მეუღლე ვერ არის... და მიხვრა-მოხვრა ხომ... (ხელს გააქნევს).

დეპერო. (იცინის) ეგ ყველაფერი

---

*) იხ. „ივერია" № 124.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად და შეუბრალებლად, არამედ თვისს ამხანაგებსაც. ვაი მისი ბრალი' ვინც მისს ბრძანებას არ შეასრულებს. ამ შემთხვევაში თვით ნაბიცკი ემორჩილება მას.

მესამე ამხანაგი და მარჯვენა ხელი ნაბისა არის შახ-უსეინ-ბეგი. თუ ნაბი წავიდა სადმე, მაშინ მის ადგილს შახ-უსეინ-ბეგი იჭერს. იგივე ატყობინებს ნაბის, რა დროს და ვის უნდა დაეცნენ, რომ კაი დავლა აიღონ.

ოც-და-ცხრა მაისს მათ დაეცა ასი ჯარის-კაცი და ოც-და-ორი ადგილობრივი მცხოვრებელი ზანგეზურის მაზრის უფროსის მეთაურობით. ყაჩაღებმა დაუშინეს მათ თოფები და მერე წინადვე მომზადებულის გზით გაიქცნენ და გადავიდნენ ნახჩევანის მაზრაში.

⁂ ს. კოდორი: 8 ამ თვეს რიონი მეტად მოდიდდა. წყალი რამდენიმე ვერსის მანძილზედ გადმოვარდა ნაპირებზედ და მრავალი ყანები სულ მთლად წალეკა. 8-დგან 10-მდის წყალი სულ მატულობდა. ზარალი ძალიან დიდი მისცა მახლობლად მცხოვრებ გლეხთ. მოხუცები ამბობენ, რომ ასეთი წყალდიდობა არ ახსოვთ.

ქუთაისი: 11 ივნისს ტფილისის ქართული თეატრის არტისტებისაგან კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა „სამშობლო". წარმოდგენას თუმცა ქებას ვერ შევასხამთ, მაგრამ ხალხი-კი ძლიერ ბლომად დაესწრო. იშვიათად რომ დაესწროს ხოლმე ამდენი ხალხი ქუთაისში ქართულს წარმოდგენას. როდესაც პიესა სრულდებოდა ლამპარს უცბად ცეცხლი გაუჩნდა და ხალხში შეიქმნა დიდი წიოკობა. მათის ყივილისაგან აღარა ისმოდა-რა სცენაზედ. როცა ხალხი დამშვიდდა, მხოლოდ მაშინ-ღა დაასრულეს პიესა. ამ გვარად ცეცხლი არა ერთხელ გამჩნდარა ჩვენს თეატრში.

## კორესპონდენცია.

—

**გორი.** უნდა სულ მთლად რეგვენი, სულ მთლად წაწყმედილი იყვეს ის კაცი, რომელიც მოინდომებს ყველა ექიმების ერთად თავის მოყრას და მათ მოქმედება მოღვაწეობაზედ საერთო გასაკიცხ მსჯავრის დადგენას. ექიმებშიც, საბედნიეროდ კაცობრიობისა, მრავალნი არიან ნამდვილად განათლებულნი, ადამიანის სიყვარულით და სიბრალულით ნათელ-მოსილნი პირნი, რომელთაც თავიანთ წმიდა დროშაზედ უკვდავი სიტყვები უწერიათ: ერთგული სამსახური მეცნიერებისა და კაცობრიობისა. სამწუხაროდ, ამგვარ კაცობრიობის სათაყვანო კეთილის-მყოფელთ ხშირად გვერდში ამოუდგებიან ხოლმე ისეთი პირნიც, რომელთაც უბედური ადამიანი თავიანთ მწველელ ფურად მიაჩნიათ, ხოლო მეცნიერება—ყურ-მოჭრილ ყმათა და მოსამსახურეთ. ეს ვაჟბატონები ავადმყოფის ლოგინს უახლოვდებიან არა კაცთ-მოყვარეობით და მეცნიერების მადლით, არამედ საზიზღარის ანგარებით, მომაკვდინებელის დაუდევრობით და შეუბრალებლობით. ანგარება, შეუბრალებლობა, დაუდევრობა!!. აი ის წყეული, ჯოჯოხეთური გზა და კვალი, რომელიც გაჟღინთულია უთვალავ ავადმოფთა პატრონების მდუღარე ცრემლებითა და რომელზედაც ხშირად დაბრძანდებიან ხოლმე ამგვარის ჯურის ექიმბაშები!

ჩვენს ქალაქში სცხოვრებს მასწავლებელი ზაქ. დ—შვილი, რომელსაც ამ ერთის თვის წინად გაუხდა ბავშვი ავად. პირველსავე ხანებში პაწია ავადმყოფს აწუხებდა ხველა და საშინელი ორმოც გრადუსიანი სიცხე. მოიწვიეს სამხედრო ექიმი ი. ლ—ვი. ამან დახედა ბავშვსა და დაუყოვნებლივ აღიარა მისი ავადმყოფობა ცხელებათ. გამოუწერა ქინაქინა და ურჩია, რომ ბავშვი ხშირ-ხშირად ჩაესვათ ოც-და-რვა გრადუსიან ვანაში და შემდეგ ცივი კომპრესები ეფარებინათ. მშობლები, რაღა თქმა უნდა, დაფაცურდნენ: მოატანინეს ქინაქინა, იშოვნეს ვანა და იწყეს ერთგულად აღსრულება ექიმის დარიგებისა. მაგრამ... ავადმყოფი უარესად გახდა. მობრძანდა ექიმი და მკაცრად მოსთხოვა მშობლებს—ბანაობის და კომპრესების ხშირი ხმარება. „ბატონო, უთხრა ბავშვის მამამ ექიმს, აგერ ორი-სამი დღეა ვხმარობთ მაგ საშუალებათ და ბავშვს-კი სიკეთის მაგიერად უარესობა ემჩნევა. აბა, კარგად გასინჯეთ, იქნება სხვა ავადმყოფობაა რამე!„ — ცხელების მეტი აქ სხვა არა არის რა, ბრძანა ექიმმა, მე ექიმი ვარ და უნდა გაიგონოთ ყოველი ჩემი სიტყვა. მამა გაჩუმდა და აცახცახებულის ხელებით იწყო კვალად ექიმის რჩევის აღსრულება. ავადმყოფმა პირი საიქიოსკენ იბრუნა. შეშფოთებულმა მშობელმა მიმართა სხვა ექიმებს... პატივცემულმა ქაიხ. ფ ძემ გულდადებით გასინჯა ბავშვი და აღმოაჩინა ფილტვების ანთება. ბ. ლ ვს ეს ვერაფრად ეჭაშნიკა და განრისხდა. ტფილისიდგან გამოწვეულმა ექიმმა მ-ოვმაც იგივე სთქვა, რაც ფ-ძემ. ბ. ლ-ვი მიხვდა ახლა კი სიმართლეს და თვითვე გამოუწერა ავადმყოფს ფილტვების ანთების წამალი. ბანაობა აკრძალა, ცივი კომპრესები ახლა თბილებით შესცვალა მაგრამ ყოველივე ესე დაგვიანებული გამოდგა. პაწია ავადმყოფი ორიოდ დღეს კიდევ იტანჯა და შემდეგ მოშორდა ამ წუთისოფელს.

## თუშების თქმულებანი მეფე ერეკლე II-ის შესახებ.

ზაფხულში ქალაქელების საქონელი ტფილისს გარედ სძოვდა. ამ საქონელში იყო მეფე ერეკლეს მშვენიერი თეთრი მოზვერი. მეფეს ძალიან უყვარდა ეს მოზვერი და თურმე ყოველ საღამოს, როცა საქონელი ბრუნდებოდა შინ, მეფე უთუოდ ინახულებდა. თუშებმა დაიჭირეს ეს მოზვერი, დაკლეს და შეჭამეს. როდესაც ერეკლემ ჰკითხა თუშებს, თუ რას ნიშნავდა ამნაირი მათი მოქმედება, თუშებმა მოახსენეს:

— „ხორცი ხორცად შევჭამეთ, ბატონო, და ტყავი-კი საქალამნეთ მოვიხმარეთო".

ერეკლემ უბრძანა:

— «ვხედავ, თუშებო, თქვენ რომ ერთი პირი გქონდეთ, ქვეყნის შეჭმას შეიძლებდითო".

ივ. ბუქურაული.

## რუსეთის ცხოვრება.

9 ივნისს პეტერბურგში ჩამოსულან პარისის ბანკირები, რომელთ მოლაპარაკება უნდა იქონიონ რუსეთის საფინანსო უწყებასთან ჩინეთისთვის სესხის მიცემის შესახებ.

—

„ნოვ. ვრ."-ის სოფიიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ ცნობილი რუსეთის ემიგრანტი დრაგომანოვი გარდაცვლილა. დრაგომანოვი უკანასკნელს წლებში სოფიის უმაღლესის სკოლის (უნივერსიტეტის) პროფესორად იყო.

—

საერო განათლების მინისტრმა ნება დართო, რომ 1896 წლის აგვისტოში ბუნების მეტყველთა და მკურნალთა კრება მოხდეს კიევის წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტში. გამგე კომიტეტი კრებისა პროფესორის კ. მ. ფეოფილაქტოვის თავმჯდომარეობით შესდგება.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

გაზ. „ნოვოე ვრემია"-ს სიტყვით ჩრდილო არხი აორკეცებს გერმანიის მხრივ ზღვაზედ მოგერებითს ძალას და აძლიერებს მისს შეტევებითს ძალას. ჩრდილო არხი გერმანიისათვის ამის შემდეგ საუკეთესო თავ-საფარია; ომის დროს მას ადვილად შეეძლება ორივ ზღვაზედ ფარულად გასვლა-გამოსვლა. იგია დამაგვირგვინებელი იმ დიდის ზღვის სტრატეგიულ გეგმისა, რომლითაც გერმანიას განზრახვა აქვს უფროსობა მოიპოვოს ბალტის ზღვაზედა და ჩრდილოეთის ზღვის გერმანიის ნაპირებზედ თავისუფლად შთენილს წყალს სრულიად დაეუფლოს. დღემდის ეს ერთობა შეუძლებელი იყო, რადგანაც ამ ორს ზღვას ერთი მეორესგან აშორებდა იუტლანდიის ნახევარ-კუნძული. ეჭვი არ არის ეს გარემოება გერმანიის საზღვაო-სამხედრო საქმეში ფრიად მცირესა და სუსტს ნაკლებულებას შეადგენდა. ამისათვის ისევ 70 წლებში განიზრახა გერმანიამ კილსა და მდ. ელბას ზღვის შესართავს შუა არხი გაეჭრა და ამით ბალტისა და გერმანიის ზღვა ერთმანეთთან შეერთებინა.

მოლტკემ ასე დაასურათა ამ არხის სტრატეგიული მნიშვნელობა: არხი ერთი-ორად აძლიერებს ჩვენს ფლოტს, რადგანაც სრულიად მტრისგან შეუმჩნევლად შეგვიძლიან ჩვენს ზღვის ძალას ბალტისა ან ჩრდილო ზღვაში მოვუყაროთ თავიო".

ჩრდილო არხის სამხედრო დანიშნულება მხოლოდ მაშინ იქნება უნაკლულო, როდესაც ჰელჰოლანდი გერმანიის საკუთრება გახდება. ბალტის ზღვაზედ არხს პირდაპირ პირველ ხარისხოვან სამხედრო ნავთ-სადგურ კილში მიჰყავს, მაგრამ გერმანიის ზღვაზედ-კი რომ ვილგელმსგაჶენში იყოს ჩასვლა საჭირო, უნდა ბრუნსბუტელიდგან 80 ზღვის მილი გაიარონ და ამ 80 მილიდგან გაშლილს ზღვაზედ 50 მილამდის მანძილი ჰხვდება სავლელი. საქმე იმაშია, რომ ამ 50 მილლის მანძილზედ ზღვით მოგზაური მტრის თვალს ვერსად წაუვა. ეს იყო მიზეზი, რომ ხსენებულ სტრტატეგიულ გეგმის განსახორციელებლად გერმანიას უთუოდ უნდა შეეძინა ჰელჰოლანდი,—და არც თუ დაზოგა რამე გერმანიამ ამისათვის. ეხლა მთელი გზა კილიდგან ვილჰელმსგაჶენამდე მჭიდროდ შემოზღუდული აქვს გერმანიას და მტერს აღარავითარი საშუალება აღარა აქვს ჰელჰოლანდიდგან თვალი ადევნოს გერმანიის ჯარის მოძრაობას; ყველას შეეკრა ეს საზვერავი ადგილი.

ეჭვი არავისა აქვს, რომ გერმანიის მილიუტარიზმი წარმატებაში შევა. რაკვირველია, რომ გერმანია მტრის მოგერებას-კი არა,—მტერზედ მიტევას ჰფიქრობს.

გერმანიის უფროსობა ბალტის ზღვაზედ იქამდის არსებითად ეხება რუსეთის ინტერესებს, რომ ამისი მოთმენა და უყუ-

---

ვიცი...

ქასმენ. (იცინის) არა, როგორ მოგწონს მისი ლაპარაკის კილო!

დეპერო. ამ საგანზედ სასახლეში ყველა ლაპარაკობს. დუქანი ხომ არ ჰქონია რევოლიუციის დროს?

ქასმენ. სენტ-ანის ქუჩაზედ სამრეცხელო ჰქონდა, მერე რეინის ლაშქარში მეწვრილმანეთ იყო, ქმარს, სერჟანტ ლეჶევრს ახლდა თან.

დეპერო. რომელსაც დენერლობა მისცეს...

ქასმენ. საფრანგეთის მარშლობა...

დეპერო. და დანციგის დუკობა... ღირსიც იყო, ღირსი!

ქასმენ. დიაღ... რასაკვირველია... მხოლოდ ჩვენს დროში დანციგის დუკობის რა მოგახსენოთ, დანციგის დუკი არ გამიგონია და დანციგის არაყს-კი გიახლებოდით. ჩვენი დროის დუკები ნამდვილნი დუკები იყვნენ, შთამომავლობითი. ერთის კალმის მოსმით თავადობას ვერავინ შექმნის, ბატონო დეპერო, ნივრის ჭურჭელი ყოველთვის ნივრისავე სუნს გამოსცემს და მისი უგანათლებულესობა დანციგის დუკის მეუღლე ყოველთვის სენტ-ანნის ქუჩის მრეცხელად დარჩება, იმ მრეცხელად, რომელსაც გრაფი ნეიპერი გამოცვლილ სარეცხებში დამალული ჰყავდა 10 აგვისტოს და მით გადაარჩინა სიკვდილს!..

დეპერო. მაშ ამისათვის ყოფილა გრაფი ნეიპერი ასე დაახლოვებული ამ ოჯახთან? მე-კი ვფიქრობდი, რომ დუკის მარილიან მეუღლეს ეარშიყება!..

ქასმენ. არა, მაგაზედ ლაპარაკიც არ შეიძლება! უნდა მოგახსენო, მრავალ სასაცილო თვისებებთან მარშლის მეუღლე მომეტებული ერთგულია ქმრისა და ძალიან უყვარს დუკი. აი სწორედ ნამდვილი სოფლის დედაკაცის ხასიათი! სასაცილო არ არის?.. ჩუმად... აი ისიც... (უკან დაიწევიან).

გამოსვლა 2.

იგინივე და კატრინ.

(შინაურულად აცვია. უკან მოსდევს გოგო).

კატრინ. გამარჯობა, დეპერო! მადლობელი ვარ, რომ ასეთ უდროო დროს მოსულხარ!

დეპერო. (თავს უკრავს მძიმედ) თქვენო უგანათლებულესობავ!

კატრინ. როგორ მიდის თქვენი საქმეები?

დეპერო. კმაყოფილი გახლავართ, თქვენო უგანათლებულესობავ!

კატრინ. თქვენ გიმარის ქალი გყავთ ცოლად არა?

დეპერო. განა იცნობდით, თქვენო უგანათლებულესობავ?

კატრინ. მაშ, მაშ! ის მშვენიერ, ძვირფასს თეთრეულს ატარებდა. (ქასმენს)—აბა გასწი ერთი, მეჩექმესთან —რა თავს იგდებს, დამცინის თუ რა ამბავია, აქამდის არ მოუტანია ჩემი ტუფლები!

ქასმენ. მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს უგანათლებულესობას, რომ ახლა ძნელი იქნება იმისი მოძებნა ..

კატრინ. რაო, საძნელოდ მიგაჩნია ჩემი ბრძანება? გაფრთხილდი მაგ ენა არ მიგაკვნიტო, გესმის!

ქასმენ. მე მინდა მოგახსენოთ, სანამ იმას ვნახვიდე...

კატრინ. უნდა წახვიდე და ის აღასრულო, რასაც გიბრძანებენ! გასწი, რაღა! (ქასმენი თავს უკრავს და გადის) საშინლად მეჯავრება ეს ფქვილში ამოსვრილი ფრანტი!..

გამოსვლა 3.

იგინივე, ქასმენის გარდა.

კატრინ. (დაჯდება შუა სავარძელზედ) გამიგონეთ, ჩემო კეთილო დეპერო, მე ერთ ხათაბალაში ვარ ჩავარდნილი! დღეს აქ მოვლენ დუკები, თავადები, იმპერატორის დები! ერთი ხისაგან რომ ვიყვნეთ, მაშინ ვიცოდი, როგორ მივიღებდი: შევუწვავდი წაბლს, გამოვუცხობდი ხაჭაპურებს, მოვყვებოდით თამაშს, მაგრამ ისინი ხომ ნამდვილ შაქრის ტიკინებსა გვანან, კაცური თავისდაკვრაც-კი არ იციან —სულ გრეხით და პრანჭიაობით უნდა მოვექცე და ამისათვის უნდა ვისწავლო კნიკსენი და რევერანსები; ვიფიქრე, ვიფიქრე და თქვენ გამახსენდით. თქვენ ხომ კარგად იცით ყველა ეს მაიმუნური გრეხა-პრანჭაობა!!.

დეპერო. თქვენი მონა-მოსამსახურე გახლავარ! (იქით) მაიმუნურიო!

გამოსვლა 4

იგინივე მსახური, კოპ და ლერუა.

ყუთებით.

მსახური. თქვენო უგანათლებულესობავ!

კატრინ. ჰო! რა არის?

მსახური. სასახლის მკერვალი ლერუა და მეჩექმე კოპ!

კატრინ. ძლივს! შემოიყვანე! (შემოვლენ) ის ზანტი-კი ამათ ეძებს! შემოდით რაღა! (შემოდიან მძიმე თავის დაკვრით) კარგია, კმარა ამდენი წელში მოხრა! (კოპს) მოიტანე, თუ არა?

კოპი. მზად გახლავთ, თქვენო უგანათლებულესობავ! (მაგიდაზედ აწყობს ყუთს).

კატრინ. ხვალინდელი სანადირო ტანისამოსი?

ლერუა. მზად გახლავთ, თქვენო უგანათლებულესობავ.

კატრინ. ძალიან კარგი!

ლერუა. იქნება თქვენს უგანათლებულესობას ნებავს, თქვენ მოსაწყობ ოთახში გავიტანოთ ყველაფერი?

კატრინ. რათა.. აქაც კარგად ვართ!

ლერუა. მაგრამ, თქვენო უგანათლებულესობავ...

კატრინ. აქ-მეთქი! მაინც ბატონმა დეპერომ აქვე უნდა მასწავლოს მანჭვა...

დეპერო. (იქით) მანჭვა!..

(კატრინ გოგოს გადასცემს ტუფლებს. დაჯდება. გოგო ესმარება ჩაცმაზედ. ლერუა თავის ყუთიდგან ამოაწყობს ტანთ-საცმელს.)

კატრინ. მერე ამისთვის მაცდევინე ამდენი ხანი?!.

კოპი. მაპატიეთ, თქვენო უგანათლებულესობავ, მაგრამ ვერას გავხდით. ყველამ ახლა მოინდომა საცმელები.. ამ დღესასწაულების გამო. (აცმევს ტუფლებს).

კატრინ. ჶუშეც აქ არის, სასახლეში?

კოპი. დიაღ, თქვენო უგანათლებულესობავ და ყველას უკვირს.. ყველას ეგონა, რომ იმპერატორი უწყრებოდა, რადგან პოლიციის მინისტრობა ჩამოართვა და იმის ადგილს სავარი დანიშნა. ჶუშე-კი მაინც არხეინად არის!!.

კატრინ. არა უშავს-რა! იმიტომ უკვირთ, რომ ვერ იცნობენ ჩემსავით ჶუშეს... იგი რაც უნდა მაგრად

რადლებოდ დატოვება რუსეთის მხრივ არას გზით არ შეიძლებაო,—ამბობს გაზ. „ნოვ. ვრემ.“.

## უცხოეთი

—

**იტალია.** ამ დღეებში უნდა გამოვიდეს იტალიის რადიკალთა წინამძღოლის კავალოტის ბროშურა, რომელშიაც მოთხრობილი იქნება სრულიად ამბავი, თუ როგორ მიჰყიდა ორდენი იტალიის მთავრობამ კრისპის პირველ მინისტრობის დროს ცნობილს პანამისტს კორნელიუსს ჰერცს. ბროშურაში, სხვათა შორის, დაბეჭდილი იქნება ფრეისინეს წერილი, რომლითაც საფრანგეთის მინისტრად ნამყოფი აცხადებს, რომ საფრანგეთის მთავრობას არასოდეს არ წარუდგენია ჰერცი იტალიის მთავრობისათვის, როგორც ორდენით დაჯილდოვების ღირსი კაცი. საზოგადოება მოუთმენლად ელის ბროშურას და თუმცა დარწმუნებულია, რომ ახალის გამომჟღავნებით კრისპის მდგომარეობა არ შეირყევა, მაგრამ იმითი კმაყოფილდება, რომ ბროშურა პარლამენტში დიდს ალიაქოთს ასტეხს.

—

**გერმანია.** უცხოეთის ზოგიერთი გაზეთები ამბობდნენ, რომ გლადსტონმა ბისმარკი უნდა ინახულოსო. ახლა „ფრანკფურტის გაზეთი“ აცხადებს, რომ გლადსტონს მართლა სურვებია ბისმარკის ნახვა, მაგრამ ბისმარკს ავადმყოფობის გამო უარი უთქვამს.

—

**იაპონია.** „ტაიმს“-ი ამბობს, რომ იაპონიის მთავრობას განუზრახავს თვისის ფლოტის გაძლიერება ახალის სამხედრო გემების შეძენით. გემებს შეუკვეთენ ინგლისისა და ამერიკის შეერთებულ შტატების ქარხნებს. ამ გემების შესაძენად გარდადებულია 15 მილიონი დოლარი.

—

**შვეიცარია.** შვეიცარიის პარლამენტში კვლავ აღიძრა ბაასი მუშათა კანონმდებლობის შესახებ ხალხთა შორისის კონგრესის მოწვევის გამო. ამ საგნის განხილვის მიზეზი შემდეგია: შვეიცარიაში ახლა მუშათ ფაბრიკებში და ქარხნებში თერთმეტ საათს ამუშავებენ. მთავრობას განუზრახავს სამუშაო დღე ერთი საათით კიდევ შემცირდეს, მაგრამ მეფაბრიკეთა და მექარხნეთ უარ უყვიათ ეს პროექტი იმ მოსაზრებით, რომ ევროპის სხვა სახელმწიფოებში ჯერ უწინდებურად 12 და 11 საათს ამუშავებენ და თუ შვეიცარიაში 10 საათის მუშაობა შემოიღეს, შვეიცარიის მრეწველთ გაუძნელდებათ კონკურენციაო. ამის გამო პარლამენტმა დაავალა მთავრობას ეცადოს სხვა სახელმწიფოთა წინაშე, რათა მოწვეულ იქმნას იმგვარივე კონგრესი, როგორიც ამ რამდენიმე წლის წინად იმპერატორმა ვილჰელმმა მოიწვია.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** 6 ივნისს, ნაშუადღევის სამს საათზედ, შტირიის პროვინციაში ბევრ ადგილას მიწა ძლიერ იძრა. ზარალი და უბედურება უფრო მეტი იქნებოდა, რომ მიწის ძვრა სამს თუ ოთხს წამში არ შემწყდარიყო.

—

**ჩინეთი.** ჩინეთის ოფიციალურ „პეკინის გაზეთში“ თითქმის ყოველ დღე იბეჭდება თურმე იმპერატორის ბრძანება, რომ ესა და ეს გენერალი ან ოფიცერი, ან მოხელე სიკვდილით დასჯილ იქმნას, ეს და ეს დაპატიმრებულ და სხვა. ყველა ამათ ჰბრალდებათ ან ღალატი, ან სიმხდალე, ან განკარგულების უდროოდ მოხდენა და სხვა დანაშაულობა, უკანასკნელ ომის დროს ჩადენილი. რომ ჩინეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა თვის სამშობლოს უბედურების დროს ბევრი და საზიზღარი დანაშაულობა ჩაიდინეს, ამას მრავალი აღმოჩენილი ფაქტი ამტკიცებს. აი, მაგალითად ერთი ამგვარი ფაქტი: თითქმის ომის დაწყებისათანავე მთავრობას აცნობეს, რომ ჩრდილოეთ ჩინეთში სამხედრო მასალისა და იარაღის ზედამხედველმა ჩანგმა გასცა ჩინეთი, შემოუშვა იაპონიის ჯაშუშები და ხელს უწყობდა მათ. ჩანგს გაუგია, რომ დაუბეზღებიათ მთავრობასთან და ნანკინში გაქცეულა. იგი იქ დაატუსაღეს და სამართალში მისცეს, მაგრამ ჩანგმა ერი მილიონ ორასი ათასი ფრანკი ქრთამი მისცა ვიცე-კოროლს და სამართლიდგან თავი დაიხწია. ეს ჩანგი სამსახურში შევიდა სამის წლის წინად და გროში არ გააჩნდა, სამის წლის განმავლობაში მან გაატყავა ჩრდილოეთის პროვინცია და აუარებელი ქონება შეიძინა. ეს არ იკმარა—ომიანობითაც ისარგებლა და სამშობლოს უღალატა!..

რაღა გასაკვირველია, რომ ამისთანა გახრწნილ ადმინისტრაციის პატრონი ომს ვერ მოიგებდა.

## წვრილი ამბავი

ზოგ-ზოგი ფრინველები შეუსვენებლივ ფრინავენ რამდენისამე დღე და ღამის განმავლობაში. მაგალითად არის ფრინველი, რომელიც შეუსვენებლივ ფრინავს შვიდი დღე და ღამე. სძინავს ჰაერში და იკვებება ფრენის დროს. განსაკუთრებითი ნიშანი ამ ფრინველისა გრძელი ფრთებია, საათში ეს ფრინველი გადის 160 ვერსს. ზღვის ფრინველს ეძახიან, რადგანაც ფეხები გადაბმული აქვს თხელის ტყავით, როგორც მცურავს ფრინვლებს—ბატს, იხვს და სხ.

## ბიბლიოგრაფია.

—

ჩვენ მოგვივიდა საყურადღებო გამოცემა კავკასიის ექიმთა საზოგადოებისა: „О народныхъ санаторіяхъ для слабогрудыхъ. Къ вопросу о борьбѣ съ бугорчаткой“. ეს არის მოხსენება ექიმის ს. ა. მარკისა, რომელიც წაკითხულ იქმნა კავკასიის ექიმთა საზოგადოების სხდომაზედ ამ წლის 9 აპრილს. მოკლე შინაარსი წიგნისა შემდეგია: ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლა ევროპასა და რუსეთში; უკანასკნელის დროის მზრუნველობა იმის შესახებ, რომ ღარიბ ჭლექიანთაც აღმოუჩინონ დახმარება; რამდენად გავრცელებულია ჭლექით ავადმყოფობა კავკასიაში და კერძოდ ტფილისში; მიხეილის საავადმყოფოს უკანასკნელის 26 თვის სასტატისტიკო მასალის განხილვა; ჭლექიანთათვის ცალკე სადგურების (სანატორიების) დაარსება; სანატორიების მნიშვნელობა ღარიბ ხალხისთვის.

ავტორს მოჰყავს მოწმობა მრავალ ექიმთა და სწავლულთა იმის შესახებ, რომ საზოგადოდ კავკასიაში ჭლექით ავადმყოფობა ძლიერ არის გავრცელებული; ხოლო რადგანაც სტატისტიკური ცნობები არ არის შეკრებილ-განხილული, დაახლოვებითაც არ შეიძლება ითქვას, თუ რამდენი %-ა ამ სენით ავადმყოფი, ან რამდენი კვდება და სხვა. რაც შეეხება ტფილისს, გლავაცკის გამოკვლევით ტფილისში კვდება ჭლექისაგან $3^1/_2\%$—ესე იგი—ყოველ ათი ათასს სულზედ იხოცება 35 კაცი, რაც სხვა ქალაქებთან შედარებით დიდს პროცენტს შეადგენს. მიხეილის საავადმყოფოს მსტატისტიკურ მასალიდგან სჩანს, რომ სხვა ერთა შორის, საუბედუროდ ქართველობაში უფრო მეტია ჭლექიანების რიცხვი. ხუთის წლის მასალის განხილვამ ბ. მარკი დაარწმუნა, რომ იმ ქართველ ავადმყოფებთაგან, რომელნიც იმყოფებოდნენ მიხეილის საავადმყოფოში $6,_1\%$ ჭლექიანი იყო, თათრებიდგან $5,_1\%$ სომხებიდგან—$4,_9\%$. იმავე საავადმყოფოს მასალიდგან სჩანს, რომ ყველაზედ უფრო ჭლექი ღარიბ და მუშა ხალხს ეტანება; სახელდობრ:

1) ხელოსანი—27%, 2) ფაბრიკისა და ქარხნის მუშა და აგრეთვე დღიური მუშა—22%, 3) სახლში მოსამსახურე—17%, 4) დაბალი მოხელე—10%, 5) გადამდგარი ჯარის კაცი და პოლიციის მოხელე—7%, 6) ქალაქის ინტელიგენცია (მოსწავლე და მასწავლებელი, მღვდელი, არტისტი, ჟურნალისტი და სხვა)—5%. საყურადღებოა მასთანვე, რომ ხელოსანთა და მუშა ხალხის შორის ყველაზედ მეტი ჭლექათ ხდება ავათ ასოთ-ამწყობნი, საზოგადოდ სტამბებში მომუშავენი. წიგნის უმეტესი ნაწილი შეიცავს აღწერას ზემოხსენებულ სანატორიებისას. კარგა ხანია შენიშნული იყო, რომ მდიდართა შორის უფრო მეტია ჭლექიდგან მორჩენილი პროცენტი, რადგანაც მათ ადვილად შეუძლიანთ ჰავის გამოცვლა, მყუდროდ ცხოვრება, კარგის საჭმელ-სასმელის ხმარება და სხვა ამგვარი. ხოლო შეუძლებელი ხალხი ძლიერ ნაკლებად რჩება ჭლექისაგან. ევროპაში (თავდაპირველად ინგლისში) და შემდეგ ამერიკაშიაც მიაქციეს ყურადღება ამ სამწუხარო გარემობას და განიზრახეს ჭლექიანთათვის ცალკე სადგურების დაარსება, სადაც ღარიბს ავადმყოფს ან ძლიერ იაფად ან სულ უფასოდ შეუძლია ცხოვრება და წამლობა. ამგვარი სანატორიები კიდევაც არსდება აქა-იქ ევროპაში და ამერიკაში, მშვენიერს საგარაკო ადგილებში. რუსეთში ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი სანატორია არსებობს და ისიც უფრო შეძლებულ ავადმყოფთათვის. დასასრულ ავტორი ამბობს, რომ აუცილებლად საჭიროა საქართველოშიაც დაარსდეს ამგვარი სანატორია, რადგანაც ავადმყოფთა რიცხვი ძლიერ დიდია, საავადმყოფოები საქმეს არ შველის და ღარიბი ხალხიკი მეტად უპატრონოდ არის მიგდებულიო. მით უმეტეს, დასძენს ავტორი, რომ საქართველოში საუცხოვო ადგილი მოიძებნება სანატორიისათვის. გამოჩენილს გერმანიის მეცნიერს ვირხოვს უთქვამს: „მე არ ვიცი ქვეყანა, სადაც უფრო მეტი ხელ-შემწყობი გარემოება არსებობდეს სანატორიის მოწყობისათვის, ვიდრე საქართველოო“. წიგნი შეიცავს 44 გვერდს და ღირს ერთი აბაზი.

---

დაეცეს, მაინც ფეხზედ წამოხტება..

კოპი. მზათ გახლავთ, თქვენო უგანათლებულესობავ.

კატრინ. (გაიცდის) ვნახოთ, როგორ გამიძლებს; თქვენი ნაკერი ყოველთვის მალე ცვდება.

კოპი. ეს იმიტომ, თქვენო უგანათლებულესობავ, რომ ფეხებზედ გაცვიათ...

კატრინ. ფეხებზედ მაცვია! მაშ იღლიაში გავირჭო? რა სისულელეს როშავ!...

კოპი. ეგრე-კი არ მინდოდა, თქვენო უგანათლებულესობავ, მომეხსენებინა.. თქვენ უჭველად მძიმედ ადგამთ ფეხს, მაშინ როდესაც ფერიასავით უნდა სცურაობდეთ ხალიჩაზედ.

კატრინ. ფერია-კი არა და ის არ გინდა.. ძალიანაც ვჰგევარ ფერიას! ეხლა ამაზონის გასინჯვა ხომ შეიძლება.

ლერუა. რასაკვირველია, თქვენო უგანათლებულესობავ!.

კატრინ. აბა!.. გესმის შენ, კოპ!. თუ ტუფლები დასკდა, ფულს არ მოგცემ.. გაიგე?

კოპი. (ძალ-დატანებით იცინის) თქვენო უგანათლებულესობავ!

კატრინ. არ ჩამაცივდა.. თქვენო უგანათლებულესობავ, თქვენო უგანათლებულესობავ! მე თვითონაც ვიცი, რომ უგანათლებულესი ვარ, მაგრამ შენც იცოდე, თუ გასკდა, რომ გასკდე, ფულს არ მოგცემ!!. აბა ლერუა!.. (კოპი რამდენჯერმე თავს დაუკრავს და გადის. კატრინ გაიხდის კოფთას და გოგოს აძლევს.. იცვამს ამაზონს. ლერუა ეხმარება).

გამოსვლა 5

იგინივე კოპის გარდა.

ლერუა. იმედი მაქვს თქვენი უგანათლებულესობა კმაყოფილი დარჩება. თქვენი სანადირო ტანისამოსი ისეა შეკერილი, როგორც იმპერატრიცასი და ეს ჟაკეტი-კი უკეთ არის, ვინემ მისის უდიდებულესობისა იმიტომ, რომ არ მომცეს ნება მე თითონ ამეღო იმპერატრიცას ტანის ზომა...

კატრინ. (იცვამს) რატომ?

ლერუა. იმპერატორის ბრძანებით არ დამისწრეს სასახლის ქალებმა, როდესაც იმპერატრიცა იცვამდა...

კატრინ. იჭვიანობს! ნუ თუ აქამდის უყვარს (გაათავებს ჩაცმას).

ლერუა. მშვენიერია, გასაოცარია! გასინჯეთ კარგად, რა ლამაზად შეხამებულია ყველაფერი?..

კატრინ. სამაგიეროდ ამ სიგძე კუდს რა ეშმაკი ვუყო? ეს ნამდვილად წამაქცევს!

ლერუა. ცხენზედ როდესაც შებრძანდებით...

კატრინ. ცხენზედაც ვმჯდარვარ, უბელოთაც და ამისთანა კუდი-კი არა მქონია, დასწყევლოს ღმერთმა... (აიღებს ხელში კუდს, დეპეროს) აბა ახლა დრო არის მასწავლოთ რევერანსები, გამოიჩინეთ აბა თქვენი თვალთმაქცობა!..

დეპერო. მზათ გახლავართ, თქვენო უდიდებულესობავ, დავიწყოთ სალამით, თუ თქვენი ნება იქნება...

კატრინ. კარგი, მიცქირეთ, აგრე უნდა?? (უხეიროდ იხრება).

დეპერო.. სრულიადაც არა.. ჯერ თქვენ უნდა გადმოსდგათ რამოდენიმე ნაბიჯი და ნაზად, საკმაო ტანის რხევით... შემომხედეთ მე... (უჩვენებს, თუ როგორ უნდა)... მე შემოვდივარ. — მიყურეთ ეგრე... მთელს ტანის სიმძიმეს მივანდობ მარცხენა ფეხს... ნაზად და ნარნარის ტანის რხევით, თითქოს ვცურავ... აი.. შენიშნეთ... (კატრინ ცდილობს წაბაძვას მაგრამ კინაღამ დაეცემა)... იცურეთ... იცურეთ... აი ეგრე...

კატრინ. თავი დამანებეთ მაგ თქვენის ცურვით კინაღამ გავიშხლართე...

დეპერო. არა, ეს ძალიან ლამაზად მოგივიდათ, თქვენო უგანათლებულესობავ!

კატრინ. რაღა ვქნა, ფეხები რომ გამეხლართოს სასახლის კაბის კუდში?

დეპერო. ვცადოთ ამ ამაზონზედ. კუდების სიგრძით ორივ ერთნი არიან!.. ეგ სულ ადვილია... ცოტათი უნდა ჰკრათ მუხლი კაბას და მერმე გადისროლოთ უკან... აი.. ეგრე... შენიშნეთ?.. ერთი, ორი, სამი...
ეგ სულ ადვილია!

კატრინ. დიაღ, ადვილია უკუდოთ (წაბაძავს უშნოთ).

დეპერო. ინებეთ და მიბოძეთ ხელი, თქვენო უგანათლებულესობავ! თვალი მადევნეთ და ისე მოიქმედეთ, როგორც მე. (მოჰკიდებს მარცხენა ხელზედ, ასწევს მარცხენა ფეხს, კატრინ-კი მარჯვენას) მარცხენა ფეხი, თუ შეიძლებოდეს!..

კატრინ. (აქნევს ფეხს) ჰა, ჰა!..

დეპერო. მომიტევეთ, თქვენო უგანათლებულესობავ, ეგ მარჯვენა ფეხია.

კატრინ. (გაიცინებს) მართლა! მართლა! (გამოსცვლის).

დეპერო. (მოჰყვება წინ) ნუ ძიგძიგებთ... ერთი, ორი, სამი, ოჰ! (კითომ კუდს გადიგრეხს) მშვენიერია, ძალიან უცხოა... ასე გგონია კაცს, თითქოს დაბადებით დაგყოლიათ კოპწიაობა, თქვენო უგანათლებულესობავ!..

კატრინ. მართლა... მაშ მოგეწონეთ.. არა, მართალი მითხარით, ინდოურს არა ვგევარ?

დეპერო. რასა ბრძანებთ? ჰკითხეთ ლერუას!..

ლერუა. სრულებით არ ჰგავხართ.

კატრინ. მაშ მომხადეთ ჩქარა ეს „ლაგამ-აბჯარ-უნაგარი“!! (იხდის).

დეპერო. იქნება კიდევ რამ გნებავთ მიბრძანოთ, თქვენო უგანათლებულესობავ?

კატრინ. არაფერი. ძალიან, ძალიან გმადლობ!.. ნახვამდის, მომიკითხეთ თქვენი ცოლი!..

დეპერო. თქვენ ერთობ გულ-მოწყალე ბრძანდებით, თქვენო უგანათლებულესობავ (გადის).

ლერუა. იქნება რამე შენიშვნა გნებავთ მიბრძანოთ, თქვენო უგანათლებულესობავ?

კატრინ. დიაღაც გიბრძანებ—როგორ შეიძლება საგულეს ისე ღრმად ამოჭრა, თითქმის ტიტველი ვარ!!

ლერუა. მოდა ეგრე გახლავთ, თქვენო უგანათლებულესობავ, ყველა მანდილოსნები ეგრე იცმენ!..

კატრინ. მანდილოსნები-კი არა, კუდოსნები არიან!! მშვიდობით ლერუა!..

ლერუა. (მძიმე თავის-დაკვრით) თქვენო უგანათლებულესობავ! (გადის).

კატრინ. მარშალი მოდის! (ლეჟკვარი შემოდის) წაიღეთ ეს ყველაფერი (გოგოს გააქვს კატრინის ოთახში. მსახური გადის შუა კარებში).

კ. მესხი.

(შემდეგი იქნება).

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

უმორჩილესად გთხოვთ, ბ. რედაქტორო, რომ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით მიაწოდოთ ეს წიგნები ყველა სამკითხველოებს, რომელნიც-კი ჰმოქმედობენ ჩვენს ქვეყანაში. თითო სამკითხველოს სამ-სამი წიგნი გვირგვინისა III, IV და V თავი. სულ არის 4 მ. 50 კაპ. *)

თუ რომელიმე სამკითხველო ინებებ და ფონდის გასაძლიერებლად სამკითხველოსათვის გაიწერს წიგნებს, მზად გახლავართ თითო წიგნი, ღირებული სამ შაურად, დავუთმო ორ-ორ შაურად, რომ მკითხველს ხალხს მიეცეს საღსარი კითხვისა და ადვილად შეიძინოს.

მესამე თავისა დამრჩა კიდევ 50„ ცალი. მეოთხესი 240 ცალი. მეხუთისა 300 ცალი. მაგრამ არ შემიძლიან არ მოვიხსენო აქვე, რომ მსურველნი ნაღდ ფულზედ და გასაგზავნ ხარჯზედ მიიღებენ წიგნებს, უიმისოდ-კი შეუძლებელია.

მღ. ვასილ კარბელაშვილი.

1895 წ. 14 ივნისს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

15 ივნისი.

**მიტავა.** დღეს ანნას ტაძარში არხიეპისკოპოსმა არსენმა გადიხადა პანაშვიდი იმპერატრიცის ეკატერინე II, იმპერატორთა პავლე I, ალექსანდრე I, ნიკოლოზ I, ალექსანდრე II და ალექსანდრე III სულის მოსახსენებლად იმის გამო, რომ ასი წელიწადი შესრულდა, რაც კურლანდის სამთავრო და სემიგალის და პიკტენის ქვეყნები შეუერთდა რუსეთს. ტაძარი სავსე იყო მლოცველებითა. ხვალ დაიწყება დღესასწაულები. მრავალი ხალხი მოვიდა. სასტუმროები ავსებულია მოგზაურებით.

**ლონდონი,** 14 ივნისი. ახალი კაბინეტი შესდგა: დაინიშნენ: მარკიზი სოლსბერი—მთავარ მინისტრად და გარეშე საქმეთა მინისტრად; დუკი დევონშირისა—საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარედ; ბალფური—ხაზინის პირველ ლორდად; ჩემბერლენი—კოლონიების მინისტრად; გიქსბიჩი—ფინანსთა მინისტრად; ჰოშენი—ზღვის მინისტრად. დანარჩენი პორტფელები ჯერ არ არის დარიგებული.

ირლანდიელ დასის ლიდერმა მაკგრეგორმა გამოაცხადა საქვეყნოდ, რომ ამ ჟამად სამინისტრო ირლანდიის უკიდურესს მტერთაგან არის შემდგარი და ამიტომ მოიწვევს ყველა ირლანდიელს, რათა იბრძოლონ თვით-მმართველობის მოსაპოვებლად.

სოფიიდან სწერენ „პოლიტიშ კორესპონდენც“-ს, რომ მაკედონიის მკვიდრთა შორის დიდ არის მცირეოდენი აღელვება, რის გამო შესაძლოა შეიარაღებული შეტაკება მომხდარიყოს. მეორეს მხრით სოფიაში იციან, რომ „სვობოდა“-სა და „პრავა“-საგან გამოცხადებული ამბავი, რომ მაკედონიაში აჯანყება მოხდაო, საგანგებოდ არის მოგონილი. ტყუილია აგრეთვე, რომ ვითომ ოსმალეთის საზღვარი დაკეტილიყოს.

*) რადგანაც მღ. კარბელაშვილი თითონ არ ასახელებს სამკითხველოებს, რომელს იმათგანს სწირავს წიგნებს, ამიტომ რომელი სამკითხველოც-კი მოითხოვს, შეუძლიან რედაქციაში მიიღოს ხსენებული წიგნები.

რედ.

### „ივერიის“ ფოსტა.

—

**ზვიადაძეს—განოჯას:** რადგანაც დაბეჭდილ წერილთა სიას არ ვადგენთ რედაქციაში, ამიტომ შეუძლებელია გიპასუხოთ: მოგვივიდა თქვენი წერილი და ვერ ვპოვეთ საჭიროდ დაგვებეჭდა, თუ იქნება სულაც თვალითაც არ გვინახავს.

# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სტოროჟენ შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპ[illegible] აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინოვის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით იძლევა ქირით პადვალი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. ფასი ეკითხოს „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—9)

კარგისა და საიმედო ყოფა-ქცევის გასათხოვარი ქალი ეძებს ადგილს მოზრდილ ბავშვების მომვლელისას; კარგად იცის წერა-კითხვა და კერვა. შეიძლება სოფლადაც გაჰყვეს მსურველთ კარგს ოჯახში. ადრესი მსურველთ რედაქციაში შეუძლიანთ დასტოვონ.

(2—1462—3).

## დამზღვევი საზოგადოება „იაკორი“

(დ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს გარდა სათადარიგო ფულისა.

### დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

### დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერდს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეუყენებუელ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და აქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების საგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალესანდრეს ძის ივანოვის სადგომში.

(100—721—›)

უმაღლესად დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

## დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 3) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთება მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, დ გემეუწოდასადგურებზედ.

50—6—28

## „ივერია“

1895 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50„ | 5 „ | 5 „ 50„ |
| 10 „ | 8 „ 75„ | | 4 „ 75„ |
| 9 „ | 8 „ —„ | 3 „ | 3 „ 50„ |
| 8 „ | 7 „ 25„ | 2 „ | 2 „ 75„ |
| 7 „ | 6 „ 50„ | 1 „ | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისას გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესხედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების მესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

Дозволено цензурою, Тифлисъ 15 го Іюня 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.